

# რუსული კულტურის ზედა და ქვედა ფენები (რუსული კულტურის ეთნიკური საფუძველი) ნ.ს. ტრუბეცკოი

ყველა დიფერენცირებული კულტურა გარდუვალად გულისხმობს ორ აუცილებელ ნაწილს, რომელთაც ხატოვნად შეგვიძლია ვუწოდოთ მოცემული კულტურული ნაგებობის ზედა და ქვედა ფენები. ქვედა ფენაში მოვიაზრებთ კულტურულ ღირებულებათა იმ მარაგს, რომლითაც მეტნაკლებად იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს ნაციონალური მთელის ფართო ფენები, ე.წ. ხალხის მასები. ეს ღირებულებები იქმნება ხალხის მასების გარემოში, ამიტომ ისინი შედარებით ელემენტარულნი არიან და არ ამჩნევიათ ინდივიდუალური შემოქმედების მკვეთრი ანაბეჭდი.

როცა ზოგი ამათგანი ზედადან ქვედა ფენაში შეაღწევს, თვით ამ მიგრაციის გამო, ოდნავ კარგავს ინდივიდუალურ სახეს და მარტივდება, ეგუება საკუთრივ ქვედაფენური წარმომავლობის სხვა ღირებულებათა საერთო კონტექსტს. რამდენადმე განსხვავდებიან კულტურული შენობის ზედა ფენები. ქვედა ფენების კულტურულ ღირებულებებს მოცემული ხალხის ყველა წარმომადგენლის დაკმაყოფილება როდი ძალუძს. ბევრი მათგანი, რომელიც ვერ კმაყოფილდება ამა თუ იმ საყოველთაოდ მიღებული ღირებულების ფორმით, ცდილობს სრულყოს იგი, თავის პირად გემოვნებას მოარგოს.

შესაძლოა, ასე სახეცვლილი ღირებულება რატომღაც მიუწვდომელი გახდეს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, მაგრამ მოეწონოს ნაციონალური მთელის იმ ნაწილს, რომელიც ამ მთელში ერთგვარად გაბატონებულია. ამგვარად, „ზედაფენის მარაგის“ ღირებულებები იქმნება თვით ნაციონალური მთლიანობის გაბატონებულ ნაწილთა მიერ, ან ამ ნაწილთათვის, და ყოველთვის უფრო დახვეწილ მოთხოვნილებებს, უფრო მომთხოვნ გემოვნებას უპასუხებენ.

ამის შედეგად, ზედა ფენის ღირებულებანი ყოველთვის შედარებით რთულია და ნაკლებელემენტარული, ვიდრე - ქვედაფენის მარაგისა. რამდენადაც, ერთი მხრივ, ზედაფენის მარაგის ამა თუ იმ ღირებულების შექმნის ამოსავალი წერტილი შეიძლება გახდეს ქვედაფენის მარაგის რაიმე ღირებულება, ხოლო მეორე მხრივ, თვითონ სახალხო მასებს მუდმივად შეაქვთ თავიანთ ყოფით ყოველდღიურობაში ზედაფენისგან გამარტივებული სახით ნასესხები ღირებულებები, შესაძლოა ითქვას, რომ ზედასა და ქვედას შორის ნორმალურ კულტურაში ყოველთვის არის გარკვეული გაცვლა-გამოცვლა და ურთიერთშემოქმედება.

ეს გაცვლა-გამოცვლა იმიტომაც ცხოველდება, რომ ნაციონალური მთელის თვით გაბატონებული ნაწილიც კი არ არის უცვლელი და მუდმივი სიდიდე. ის „გაბატონებულია“ მხოლოდ მანამ, სანამ „პრესტიჟით“ სარგებლობს, ანუ ვინმეს მისი მიზამდის სურვილს აღუძრავს როგორც პირდაპირი, ისე „სიმპათიური მიზამდის“ - თავყანისცემისა და მორჩილების - თვალსაზრისით. მაგრამ დროთა განმავლობაში „პრესტიჟი“ შეიძლება გაქრეს და რომელიღაც სხვა სოციალური ჯგუფის საკუთრებად იქცეს, ადრე რომ ქვედა ფენას მიეკუთვნებოდა, და მაშინ ეს ახალი არისტოკრატია კულტურული შენობის ზედა ფენას შემატებს ქვედა ფენის მარაგის ბევრ ღირებულებას. ზედა და ქვედა ფენათა შინაგანი კულტურული ურთიერთქმედების გარდა, მოცემული კულტურული ერთობის თითოეულ ამ ნაწილთაგანი საზრდოს გარედან, უცხო კულტურათაგან იღებს. ამასთან, შეიძლება, რომ ის უცხოური წყარო, რომლითაც საზრდობენ მოცემული ზედაფენის კულტურული ღირებულებები, არ თანხვდებოდეს იმ უცხოურს, რომელიც შესაბამის ქვედა ფენებს ასაზრდოებს.

თუ ნასესხები ღირებულებები არ ეწინააღმდეგება მოცემული ნაციონალური ერთობის საერთო ფსიქოლოგიურ სახეს და შეთვისებისას ორგანულად გადამუშავდება, მაშინ, ბუნებრივი შინაგანი ურთიერთქმედების წყალობით, კულტურულ ზედაფენებსა და ქვედაფენებს შორის კვლავ გარკვეული ტოლმოქმედი ძალა ამოქმედდეს. თუმცა, შეიძლება,

ასე არც მოხდეს: მაშინ ზედა და ქვედა ფენები კულტურულად ერთმანეთს დასცილდება და ნაციონალური ერთობა დაირღვევა. ეს ყოველთვის მოწმობს იმას, რომ უცხოური ზეგავლენის წყარო მეტისმეტად უცხოა მოცემული ნაციონალური ფსიქიკისათვის.

რუსულ კულტურაზე ფიქრისას, პირველ რიგში, ზუსტად უნდა გავიაზროთ მისი ზედა და ქვედა ფენების ეთნოგრაფიული ხასიათი და ნათლად წარმოვიდგინოთ მისი ნაწილების კავშირი უცხოურ კულტურებთან. რუსი ერის განმავითარებელი ძირითადი ელემენტი, რა თქმა უნდა, სლავური ელემენტი იყო. ჩვენი ძირძველი სლავი წინაპრები მხოლოდ ენობრივი მონაცემების განხილვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. როგორც ცნობილია, „საერთოსლავური წინარეენა“, რომლიდანაც მომდინარეობს ყველა სლავური ენა, ერთ-ერთი განშტოებაა „საერთოევროპული წინარეენისა“. იგი მეცნიერებამ ყველა მისი განშტოების შედარებითი შესწავლის მეშვეობით აღადგინა. ამჟამად, დიდი ხანია, უარყოფილია შეხედულება ამ ინდოევროპულ პრაენაზე, როგორც - რაღაც სრულიად ერთგვაროვანზე. ყველა ლინგვისტი ეთანხმება იმ აზრს, რომ პრაენაში დიალექტები უკვე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, თანაც, დროთა განმავლობაში, ეს განსხვავებანი გაძლიერდა, გამოიწვია პრაენის საბოლოო დაშლა და ცალკეული დიალექტებიდან დამოუკიდებელი ენების განვითარება.

თქმა იმისა, რომ სლავური პრაენა არის ინდოევროპული პრაენის შთამომავალი, იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელში არსებობდა განსაკუთრებული „პრასლავური“ დიალექტი, რომელიც დროთა განმავლობაში განსაკუთრებულ დამოუკიდებელ ენად იქცა. ამ პრასლავური დიალექტის თავისებურებებს, რომლებიც ამორებს ან აახლოებს მას ინდოევროპული პრაენის დიალექტებთან, მეცნიერება აღადგენს. ეს ყველაზე ძველი რამაა, რაც სლავ წინაპრებზე შეგვიძლია ვიცოდეთ. ყველაფერი, რაც ინდოევროპულ პრაენაზე ვიცით, საშუალებას გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ პრასლავურ დიალექტს, მასთან ყველაზე დაახლოებულ ბალტიისპირულთან ერთად, [•1] ერთგვარი შუალედური მდგომარეობა ეჭირა.

სამხრეთით მას ესაზღვრებოდა ჩვენთვის ძალიან ნაკლებად ცნობილი პრილირიული და პრათრაკიული დიალექტები. აღმოსავლეთში პრასლავური დიალექტი პრაინდოირანული დიალექტების ერთგვაროვან ჯგუფს ემეზობლებოდა, რომელთაც აერთიანებდათ წარმოთქმის, გრამატიკისა და ლექსიკის დეტალთა მთელი რიგი. და ბოლოს, დასავლეთით სლავები ესაზღვრებოდნენ დასავლეთინდოევროპულ დიალექტთა ჯგუფს (პრაგერმანულს, პრაიტალიურს[\*] და პრაკელტურს), რომლებიც წარმოადგენდნენ გაცილებით მცირე ერთგვაროვან ერთეულს, ვიდრე - პრაინდოირანული დიალექტები, მაგრამ მაინც იყვნენ გაერთიანებულები.

არადამოუკიდებელ სიტყვათა მარაგის სფეროში ასეთი დეტალური მსგავსება დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია თითოეული ენისათვის. ეს საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ პრასლავურ და პრაინდოირანულ დიალექტთა განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი. ამ ორი დიალექტური ჯგუფისათვის საერთო ლექსიკის სხვა ელემენტებს შორის ბევრი ისეთი სიტყვაა, რომელთა მნიშვნელობა გვაფიქრებინებს ერთი დიალექტის მიერ მეორისაგან სესხებას. ეს სიტყვები უაღრესად ნიშანდობლივია. ბევრი მათგანი მიეკუთვნება რელიგიურ ტერმინოლოგიას. ასეთ მაგალითებად, ჩვეულებრივ, მოჰყავთ (ფრანგი სწავლულის ა.მეიეს მიხედვით) **слав, богъ, свять** (სადაც **я** რუსულად «მცირე იუს»-დან არის) სიტყვები, რომლებიც შეპირისპირებულია ძველირანულ **baga, spenta, sravah** - თან. აღსანიშნავია, რომ აქ თანხვედბა სწორედ სლავური და ირანული (ინდურის მონაწილეობის გარეშე; ბალტიურ ენებში ამ სამი სიტყვიდან მხოლოდ მეორე გვხვდება).

მართებულია, გავიხსენოთ, რომ ინდოევროპული სიტყვა **deiwos**, რომელსაც ყველა სხვა ენაში აქვს „ღმერთის“ მნიშვნელობა (ლათ.**deus**, ძველინდ. **devas**, ძველისლანდ. **tyr**, მრ. რ. **Tiwar** და სხვ.), სლავურ და ირანულ ენებში აღნიშნავს ბოროტ მითოლოგიურ არსებას: ავესტ.**daevo**, ახალირან. **Dev** (შდრ. **Asmodev**), ძველრუს. **Дивь** („იგორის ლამქრობაში“), სამხრეთსლავ. **дива «ведьма», самодива**, შემდეგ **дивий, дивь «дикий, варварский»**. ირანელებისთვის მნიშვნელობის ამგვარი ცვლილება ჩვეულებრივ აიხსნება ზარათუშტრას

(ზოროასტრის) რეფორმით: მან ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთად აჰურა მაზდა (ორმაზდი) აღიარა, ყველა დანარჩენი ღმერთი კი დემონებად გამოაცხადა, ასე რომ, თვითონ ტერმინმა: **daevo** მიიღო დემონის მნიშვნელობა, ხოლო „ღმერთი“ გამოიხატა სხვა სიტყვებით (მათ რიცხვშია **baga**-ც).

უნდა ვიფიქროთ, რომ სლავების წინაპრები ასე თუ ისე მონაწილეობდნენ რელიგიურ ცნებათა იმ ევოლუციაში, რომელმაც მათი აღმოსავლელი მეზობლები - პრაირანელები ბოლოს და ბოლოს ზარათუშტრას რეფორმამდე მიიყვანა.

ასეთ პირობებში სრულიად დამაჯერებელი ხდება ა. მეიეს (A.Meillet) ვარაუდი სლავური ზმნის - **вльрити** იგივეობაზე ავესტურ **varavaiti** - სთან, რომელიც ასევე გამოხატავს „რწმენას“ - **«верить»**, მაგრამ აქვს თავდაპირველი მნიშვნელობა **«выбирать»**, რადგან ზარათუშტრას სწავლების თანახმად, ჭეშმარიტი მორწმუნე საკუთარი არჩევანით ფასდება კეთილსა (ორმაზდი) და ბოროტ ღმერთს (არიმანი) შორის.

პრასლავური და პრაინდოირანული დიალექტების რელიგიური ტერმინოლოგიის ასეთი მსგავსებისას განსაკუთრებულად მკაფიო ხდება ორივე დიალექტის ლექსიკის ზოგი სხვა სპეციალური თანხვედრაც. მაგალითად, გამოდის, რომ სლავურ **зоветь, звать**-ს, ბალტიური ენების გარდა, პარალელი ეძებნება ინდოირანულში, სადაც შესატყვისი ზმნა განსაკუთრებით გამოიყენება ტექნიკური მნიშვნელობით **«призвать бога»** (ღვთის მოხმობა). **Слав, сгдравъ** პოულობს მეტნაკლებად ზუსტ პარალელს მხოლოდ ძველირანულში: გავიხსენოთ, რომ **«о здравии»** ყველაზე ხშირად ლოცულობენ. **Слав. Боятися**, ლიტვური ენის გარდა, გვხვდება მხოლოდ ძველინდურში: რელიგიური ტერმინოლოგიის საერთო კონტექსტში ეს სიტყვაც იოლად თავსდება.

საინტერესო მოსაზრებები ჩნდება იმ ფაქტზე ფიქრისას, რომ სლავური **шуй** „მარცხენა“ პარალელს პოულობს მხოლოდ ინდოირანულ ენებში: ცრუმორწმუნეთა დამოკიდებულება მარცხენა მხარისადმი საკმარისად ცნობილია, ზუსტად ისე, როგორც ჩვეულება, აღინიშნოს **«страшное»** ცნება განსაკუთრებული სიტყვებით (ე.წ. ლექსიკური ტაბუ). საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ პრაინდოირანულთან პრასლავური ლექსიკის სპეციალურ შესატყვისთა შორის მნიშვნელოვანი რაოდენობისაა ის ტერმინები, რომლებიც, ასე თუ ისე, რელიგიურ განცდებს უკავშირდებიან.

სრულიად განსხვავებული ხასიათისაა პრასლავური ენის სპეციალური შესატყვისები დასავლურ ინდოევროპულთან. ასეთი დამთხვევები შეიძლება მეტიც იყოს, ვიდრე პრაინდოირანულთან, მაგრამ მათ შორის, უწინარესად, არ არის ისეთი ინტიმური სიტყვები, როგორცაა კავშირები, წინდებულები და ა.შ., რომლებიც ასეთ თვალსაჩინო როლს ასრულებენ ყოველდღიურ ენაში.

გადამწყვეტად ჭარბობს ტექნიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც მიემართება სამეურნეო ცხოვრებას: არსებითი სახელებიდან - **слмя, зрьно, брашьно, лха «гряда», ябько, прася «поросенок», бобъ, секыра, шило, трудъ**, ზმნებიდან - **сляти, ковати, плести, слщи «сечь, высекать, отсекасть»** - ზუსტი პარალელები ეძებნებათ, ბალტიური ენების გარდა, კელტურ, იტალიურ და გერმანულ ენებში. ზედსართავი სახ. **добрь** (გერმ. **tapfer**, ლათ. **faber** ევროპულიდან **dhabros**) თავდაპირველად მოწყვეტილი იყო ეთიკურ მნიშვნელობას და გამოხატავდა წმინდა ტექნიკურ **«добродетель»**-ს (მოხერხებულობა, შეგუებულობა გარკვეულ სამუშაოსთან).

ძველ სოციალურ ყოფაზე მიაწინებს სიტყვა **гость** (გერმ. **Gast**, ლათ. **hostis**), **мльна, дългъ «долг»**, ცნობილი მხოლოდ სლავების, იტალიელებისა და გერმანელებისათვის, შესაძლოა, აგრეთვე, სიტყვა **дльль** «**делить, удел, надел**», რომელსაც ზუსტი პარალელი მხოლოდ გერმანულში (გერმ.**Teit**) ეძებნება. დანარჩენი სიტყვები, რომლებიც გვხვდება სლავებსა და დასავლეთ ინდოევროპელებთან, ნაკლებდამახასიათებელია, რამდენადაც აღნიშნავენ გარეუბნების საგნებს, რის გამოც მათი საერთოობა აიხსნება საერთო გეოგრაფიული პირობებით (**море, мъхъ «мох», дроздъ, оса, сръшень «шершень», ельха «ольха», ива, слверь**), ან სხეულის ნაწილები (**лядвья, брада**); ეს ორივე კატეგორია წარმოდგენილია სლავურ-ინდოირანულ შესატყვისობათა მარაგშიც (**слав, гора** - ავესტ. **Gairl**,

ძველი ინდ. **giri**, სლავ., **грива, уста, елась** - ძველი ინდ. **griva** «ვისერი», **oshtha** «рот» - პირი, ავესტ. **varesa** «волос»- თმა). სავსებით სარწმუნოა, რომ პრასლავური დიალექტები, გარდა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, საგანგებოდ უკავშირდებოდნენ სამხრეთს, პრათრაკიულ, პრაილირიულ დიალექტებს, ყოველ შემთხვევაში, იმ დიალექტს, რომლიდანაც მოგვიანებით ალბანური ენა განვითარდა.

სამწუხაროდ, ალბანური, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია, ძლიერ ადრეულ ენად წარმოდგება: მის ლექსიკაში უცხოური ელემენტები (რომანული, ბერძნული, თურქული და ახალი სლავური) იმ მკვიდრ ელემენტებზე მეტია, რომლებიც ძალიან ცოტა დარჩა. ძველ თრაკიელთა და ილირიელთა ენები ჩვენთვის თითქმის სრულიად უცნობია. ამგვარად, პრასლავური დიალექტების კავშირზე მათ სამხრეთელ მეზობლებთან გარკვევით არაფერი ვიცით.

ინდოევროპული ეპოქის დასასრულს, ე.ი. მაშინ, როცა პრასლავური დიალექტი დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბდა, სლავებს უნდა აერჩიათ მიმართულება აღმოსავლეთს, სამხრეთსა და დასავლეთს შორის. დავინახეთ, რომ სლავები „სულით“ ინდოირანელებისკენ მიიწევდნენ, „სხეულით“, გეოგრაფიული და მატერიალურ-ყოფითი პირობებით კი - დასავლელი ინდოევროპელებისკენ. ინდოევროპული ოჯახის სხვა განშტოებათაგან საერთოსლავური პრაენის საბოლოოდ გამოყოფის შემდეგ პირველ ხანებში სლავთა წინაპრები საკმაოდ დიდხანს განიცდიდნენ ძლიერ გავლენას დასავლელი ინდოევროპელებისა, რომლებიც უკვე საბოლოოდ დაყოფილიყვნენ სამ ლინგვისტურ სუბიექტად: გერმანელებად, კელტებად და იტალიელებად (მოგვიანებით - რომანელებად). უძველესი გერმანული და რომანული ელემენტები, რომლებიც შედიან საერთოსლავურ პრაენაში, მნიშვნელობის იმ კატეგორიებით, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან, არაფრით არ განსხვავდებიან იმ ლექსიკური ელემენტებისგან, რომლებიც ადრეც საერთო ჰქონდათ პრასლავურ დიალექტებსა და პრადასავლურ ინდოევროპულს. უმეტესად, ეს არის საყოფაცხოვრებო საგნები, ტერმინები, რომლებიც მიეკუთვნება ვაჭრობას და სახელმწიფოებრივ ყოფას, ბოლოს, იარაღის დასახელებას. მოგვიანებით ამ სიტყვებს უერთდება ტერმინები ქრისტიანული რელიგიისა, რომელიც დასაწყისში სლავებთან საკმაოდ შემოვლითი გზით მოვიდა - ბერძნებისა და რომაელების გავლით - გერმანელებისაგან (цркъы, постъ), ან რომანელთაგან (крижъ, крѣсть, коумъ), კიდევ უფრო მოგვიანებით - პირდაპირ ბერძნებისაგან.

ბოლოს, ამ საერთოსლავური ერთობის ეპოქის დამთავრებისას სლავები იყოფიან უფრო წვრილ - დასავლურ, სამხრულ და აღმოსავლურ ჯგუფებად, რომელთაგან თითოეული თითქოს განსაკუთრებულ „ორიენტაციას“ განასახიერებს. ამგვარად, სლავთა კულტურული ფიზიონომია იმთავითვე განისაზღვრა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სლავთა წინაპრები ინდოევროპელთა საერთო მასის მხოლოდ ნაწილი იყვნენ და ჯერ კიდევ დიალექტზე ლაპარაკობდნენ.

უკვე მაშინ ამ ტომების შუალედურმა მდგომარეობამ მასში შვა ხან აღმოსავლეთთან, ხან დასავლეთთან, ხანაც სამხრეთთან დაკავშირების ტენდენციები. მოგვიანებით ეს ტენდენციები დიფერენცირდა თვით სლავების დიფერენციაციის გამო, რის შედეგადაც თითოეულმა სლავურმა ნაკადმა შეინარჩუნა ერთ ამ ტენდენციათაგანი.

დასავლელმა სლავებმა რომანულ-გერმანული სამყარო ირჩიეს. თუმცა, ეს სამყარო მათ თავისი ოჯახის სრულუფლებიან წევრებად არ აღიქვამდა. დასავლელ სლავებს აგერმანელებდნენ და ჟუჟავდნენ. ოდესღაც ამ სლავებს ეჭირათ თანამედროვე გერმანიის მთელი აღმოსავლეთი, ელბამდე და ფულდამდე (ჰესენში); ახლა კი დასავლელ სლავთა მთელი ამ მასიდან დარჩნენ მხოლოდ პოლონეთი, ჩეხეთი და ლუჟიცელებით დასახლებული პატარა კუნძული, გარს რომ გერმანელები შემორტყმოდნენ.

და მაინც, რომანულ-გერმანულ სამყაროში დასავლელ სლავთა არასახარბიელო მდგომარეობისა და იმის მიუხედავად, რომ მთლად თავისიანებად მათ საერთოდ არ მიიჩნევდნენ, საკმაოდ ორგანულად შეითვისეს რომანულ-გერმანული კულტურა და შეძლებისდაგვარად მონაწილეობდნენ მის განვითარებაში. გადატრიალებას ადამიანთა

გონებაში, რომლითაც რომანო-გერმანული სამყაროს ე.წ. ახალი ისტორიის დასაწყისი აღინიშნა, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ორი დასავლელი სლავის მოღვაწეობა - ჩეხი იან ჰუსისა და პოლონელი ნიკოლოზ კოპერნიკისა.

სამხრეთის სლავები ბიზანტიის გავლენას დაემორჩილნენ და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვა ტომებთან ერთად მონაწილეობდნენ განსაკუთრებული ბალკანური კულტურის შექმნაში, რომელიც ელინისტური იყო ზედა ფენებში, ქვედა ფენებში კი მისი დეტალური ეთნოლოგიური განსაზღვრა ვერ ხერხდება, რადგან მისი შემქმნელი ცალკეული ეთნიკური ელემენტების როლი აქამდე ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი.

ბიზანტიური კულტურის სულისკვეთების შეთვისება აქაც ორგანულად მიმდინარეობდა, ყოველ შემთხვევაში, ბერძენი „ფანარიოტების“ შოვინისტურ ინტრიგებამდე (უკვე თურქების მფლობელობის ეპოქაში): ისინი ესწრაფოდნენ, ეს ორგანული შეთვისება და თავისუფალი თანამშრომლობა მექანიკური დაქვემდებარებით შეეცვალათ.

აღმოსავლელ სლავებს ნაკლებმკაფიო კულტურული ორიენტაციები ჰქონდათ. ისინი უშუალოდ არ შეხებიან ინდოევროპული კულტურის არც ერთ ოჯახს [•3], ამიტომ შეეძლოთ თავისუფლად აერჩიათ რომანულ-გერმანულ „დასავლეთსა“ და ბიზანტიას შორის: ერთსაც და მეორესაც ისინი, ძირითადად, სლავების მეშვეობით ეცნობოდნენ.

ბიზანტია ირჩიეს, რამაც თავდაპირველად ძალიან კარგი შედეგები გამოიღო. რუსულ ნიადაგზე ბიზანტიური კულტურა ვითარდებოდა და მშვენიერდებოდა. ყველაფერს, რასაც ბიზანტიისგან იღებდნენ, ორგანულად ითვისებდნენ; ეს იყო ისეთი შემოქმედების ნიმუში, რომელიც ყველა ამ ელემენტს ნაციონალური ფსიქიკის მოთხოვნილებებს უსადაგებდა.

ეს, განსაკუთრებით, სულიერი კულტურის სფეროს, ხელოვნებას და რელიგიურ ცხოვრებას ეხება; „დასავლეთისგან“ მიღებულს კი, პირიქით, ორგანულად ვერ ითვისებდნენ, ეს არ შთააგონებდა ნაციონალურ შემოქმედებას. დასავლურ საქონელს ეზიდებოდნენ, ყიდულობდნენ მაგრამ არ აწარმოებდნენ.

იწერდნენ ოსტატებს, მაგრამ არა იმისთვის, რათა მათ რუსებისთვის ესწავლებინათ, არამედ იმისთვის, რომ შეკვეთა შეესრულებინათ. ზოგჯერ ითარგმნებოდა წიგნები, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ნაციონალური კულტურის სათანადო განვითარება.

ვგულისხმობთ, რასაკვირველია, მხოლოდ ზოგად შტრიხებს და არა - დეტალებს. ბევრი გამონაკლისიც იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ, ზოგადად, რუსეთში ყოველივე ბიზანტიურს, უსათუოდ, იოლად და ორგანულად ითვისებდნენ, ვიდრე - დასავლურს. ფუჟი იქნებოდა ყოველივე ამის მხოლოდ ახირებული მიზონიზმით ახსნა.

თვითონ ამ „ცრურწმენაში“ იყო რეპულსიის ინსტინქტური განცდა რომანულ-გერმანული სულისადმი, გაცნობიერება იმ უუნარობისა, რომ მათი მსგავსის შექმნა შეეძლოთ. ამ თვალსაზრისით, აღმოსავლელი სლავები თავიანთი ისტორიამდელი წინაპრების - ინდოევროპული პრაენის პრასლავური დიალექტის იმ მატარებლების ერთგულ შთამომავლებად მიიჩნეოდნენ, რომლებიც, როგორც ლექსიკის შესწავლა გვიჩვენებს, არ გრძნობდნენ სულიერ სიახლოეს დასავლელ ინდოევროპელებთან და, სულიერი თვალსაზრისითაც, აღმოსავლეთზე ორიენტირდებოდნენ. დასავლელ სლავებს ეს ფსიქიკური თავისებურება დაეთრგუნათ გერმანელებთან ხანგრძლივი უშუალო ურთიერთობის წყალობით, აღმოსავლელ სლავებს კი გაუღრმავდათ, ნაწილობრივ, შესაძლოა, უგროფინებსა და თურქებთან ანთროპოლოგიური შერევის გამო.

პეტრე დიდის რეფორმის წყალობით, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ამ მომენტიდან რუსები უნდა განმსჭვალულიყვნენ რომანულ-გერმანული სულისკვეთებით და ამგვარადვე ეღვაწათ. წინარეთქმულიდან ჩანს, რომ ამ ამოცანის სასწრაფოდ გადაწყვეტა რუსებს ორგანულად არ შეეძლოთ. მართლაც, თუ პეტრემდელი რუსეთი, თავისი კულტურით, შესაძლოა, ბიზანტიის ლამის ყველაზე ნიჭიერ და ნაყოფიერ გამგრძელებლად მიჩნეულიყო, პეტრე დიდის შემდეგ, რომანულ-გერმანული ორიენტაციის არჩევამ ის ევროპული კულტურის მაჩანჩალად, ცივილიზაციის მივარდნილ კუთხედ აქცია. ევროპული სულიერი კულტურის ზოგიერთ ძირითად მამოძრავებელ ფაქტორს (მაგ., ევროპულ

მართლცნობიერებას) რუსული ზედა ფენები - ცუდად, ხალხი კი საერთოდ ვერ ითვისებდა. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა რომანულ-გერმანულელებისათვის პირველხარისხოვნად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უნარების უქონლობა.

ამიტომაც რუსული გენიის ნამდვილი წვლილი „ევროპული ცივილიზაციის საგანძურში“ ძალიან მცირე იყო იმ უცხოური კულტურული ღირებულებების მასასთან შედარებით, რომლებიც განუწყვეტლივ მექანიკურად ინერგებოდა რუსულ ნიადაგში.

არაერთგზის უცდიათ რუსეთში რომანულ-გერმანული კულტურულ ღირებულებათა ორგანული გადამუშავება და განსაზღვრული ევროპული ფორმის ჩარჩოებში დამოუკიდებელი ინდივიდუალური შემოქმედების გამოვლენა, განსაკუთრებით - სულიერი კულტურის დარგში. თუმცა, მხოლოდ განსაკუთრებულად გენიალურ პიროვნებებს შეეძლოთ ამ ჩარჩოებში ისეთ ღირებულებათა შექმნა, რომლებიც მისაღები იქნებოდა არა მხოლოდ რუსეთისათვის, არამედ - „დასავლეთისთვისაც“, და აშკარა, დამთრგუნველ უპირატესობას ყოველთვის ფლობდა უბრალო, თითქმის მექანიკური გადაღება და მიბადვა.

უნდა აღინიშნოს, რომ როცა ევროპული კულტურის ჩარჩოებში მოქცეული რომელიმე რუსული ტალანტი თუ გენია ცდილობდა, მოეცა რაიმე ნაციონალურ-თვითმყოფადი, მას, უმეტესწილად, თავის შემოქმედებაში შეჰქონდა რომანულ-გერმანული სამყაროსათვის უცხო ბიზანტიური, „რუსული“ ან „აღმოსავლური“ (განსაკუთრებით, მუსიკაში) ელემენტი. ამის წყალობით, ნამდვილი რომანულ-გერმანული რუსულ შემოქმედებას ეგზოტიკად აღიქვამს, რომლითაც შეიძლება შორიდან დატკბე, არ შეერწყა მას და არ განიცადო ის. ამასთან ერთად, ჭკმდარიტი თვითმყოფადობის თვალსაზრისით, ღირებულებათა ასეთი ნაზავი მაინც მიუღებელია და ალღოიანი რუსი ყოველთვის გრძნობს მასში ერთგვარ სიყალბეს. ეს სიყალბე, ნაწილობრივ - რუსული სტიქიის („დიურიუს“) არასწორ გაგებას, ნაწილობრივ, ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობას მოჰყოლია.

ბოლოს და ბოლოს, მიუხედავად რუსი ინტელიგენციის ძალისხმევისა (ამ სიტყვის ფართო გაგებით), ორი უფსკრული, პეტრე დიდის მიერ გათხრილი, ერთი - პეტრემდელ რუსეთსა და პეტრესშემდგომ რუსეთს შორის, მეორე - ხალხსა და განათლებულ კლასებს შორის - დღემდე ამოუვსებელია.

თვით დიდი მხატვრების ფხიზელი სული უღონო იყო, ამ უფსკრულებზე ხიდი გაედო, და რიმსკი-კორსაკოვის მუსიკა მაინც პრინციპულად განსხვავდება ნამდვილი რუსული სიმღერისაგან ზუსტად ისე, როგორც ვასნეცოვისა და ნესტეროვის ფერწერა - ნამდვილი რუსული ხატისაგან.

ასეთი ვითარებაა რუსული კულტურის შენობის ზედა სართულზე. რუსული კულტურის ზედაფენები ყოველთვის ცხოვრობდნენ იმ კულტურული ტრადიციებით, რომლებიც თავიდან ბიზანტიისაგან გადმოეღოთ, შემდეგ რომანულ-გერმანული დასავლეთისაგან, მეტნაკლებად ორგანულად რომ გადაემუშავებინათ ეს ტრადიციები.

თუმცა, ზედაფენების მიერ გადამუშავებული უცხო ტრადიციები ქვედა ფენებს, ხალხსაც მსჭვალავდა. ხალხის მასაში უფრო ძლიერად აღწევდა ბიზანტიური, აღმოსავლური მართლმადიდებლობის ტრადიციები, რომლებმაც განსაკუთრებულად დაამშვენა ხალხის მთელი სულიერი ცხოვრება, მაგრამ როცა ეს აღმოსავლური მართლმადიდებლობა რუსულ ხალხურ სტიქიას შეეხო, იმდენად გარდაიქმნა, რომ სპეციფიკური ბიზანტიური თავისებურებანი მასში ძლიერ გაუფერულდა.

დასავლური კულტურა ხალხის მასაში გაცილებით სუსტად აღწევდა, ხალხური სულის სიღრმემდე მისვლა უჭირდა. ამიტომაც რომანულ-გერმანული კულტურის რეცეპციამ რუსული კულტურის ზედა და ქვედა ფენებს შორის ისეთი პრინციპული არათანაზომადობა გამოიწვია, როგორც არ ყოფილა ზედაფენების მიერ ბიზანტიური კულტურის გადმოღებისას.

მაგრამ ბიზანტიური და რომანულ-გერმანული ტრადიციებით არ ამოიწურება რუსული ხალხური სტიქიის კულტურული თუ ეთნოგრაფიული იერსახე. რუს განათლებულ საზოგადოებას სწამს, რომ თავისებური მახასიათებლები ამ სახისა „სლავურია“. ეს არ არის მართალი. ის კულტურა (კულტურული ღირებულებების საერთო მარაგის გაგებით,

რომელიც აკმაყოფილებს მოცემული გარემოს მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს), რომლითაც ყოველთვის ცხოვრობდა რუსი ხალხი, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, სრულიად განსაკუთრებული სიდიდეა, რომელიც, შეუძლებელია, უდანაკარგოდ ჩართო კულტურათა რომელიმე ჯგუფსა თუ კულტურულ ზონაში.

ზოგადად, ეს კულტურა თვითონ არის განსაკუთრებული ზონა, რომელშიც, რუსების გარდა, ვოლგისპირეთის აუზის თურქებთან ერთად, უგროფინელი „უცხოტომელებიც“ შედიან. შეუმჩნევლად, ეს კულტურა აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში თანდათანობით ესაზღვრება „სტეპის“ (თურქ-მონღოლურ) კულტურას და მისი მემკვიდრეობით უკავშირდება აზიურს. დასავლეთშიც ასე თანდათანობით გადადიან (ბელორუსებისა და მალორუსების გავლით) დასავლელ სლავთა კულტურაზე, რომელიც ემეზობლება რომანო-გერმანულსა და ბალკანურ კულტურას.

მაგრამ სლავურ კულტურებთან კავშირი არც ისე ძლიერია და წონასწორდება აღმოსავლეთთან ძლიერი კავშირით. ბევრ საკითხში რუსული ხალხური კულტურა სწორედ აღმოსავლეთს ესაზღვრება, ასე რომ საზღვარი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ზოგჯერ სწორედ რუსებსა და სლავებზე გადის, ზოგჯერ კი, სამხრეთის სლავებზეც რუსებს უახლოვდებიან, და არა იმიტომ, რომ ორივე სლავია, არამედ იმიტომ, რომ ერთმან და მეორემაც თურქების ძლიერი გავლენა განიცადეს.

რუსული სტიქიის ეს თავისებურება აშკარად ჩანს ხალხურ მხატვრულ შემოქმედებაში. ველიკორუსული ხალხური სიმღერების მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ რიცხვშია უძველესი საწეს-ჩვეულებო და საქორწინო სიმღერები) შექმნილია ე.წ. ხუთი ტონისაგან შემდგარი ან ინდოჩინური გამით, ანუ ბგერათარიგში IV და VII საფეხურთა გამოტოვებით [\*4]. ეს გამა არსებობს (თანაც - მხოლოდ აქ) ვოლგის აუზისა და კამის თურქულ ტომებში, შემდეგ ბაშკირებში, ციმბირელ „თათრებში“, რუსეთისა და ჩინეთის თურქესტანის თურქებში, მონღოლთა ყველა ტომში.

როგორც ჩანს, ეს გამა ოდესღაც იყო ჩინეთშიც: ყოველ შემთხვევაში, მუსიკის ჩინური თეორია ვარაუდობს მის არსებობას, და ჩინეთში მიღებული ნოტაცია მას ეფუძნება [\*5]. სიამში, ბირმაში, კამბოჯასა და ინდოჩინეთში ის ახლაც ბატონობს.

ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენს წინაშეა უწყვეტი ხაზი, რომელიც აღმოსავლეთიდან მოემართება. ეს ხაზი ველიკორუსებზე წყდება. მალორუსებთან ხუთი ტონისაგან შემდგარი გამა გვხვდება მხოლოდ ძალიან იშვიათ ძველ სიმღერებში, სხვა სლავებთან აღნიშნულია მისი გამოყენების ერთეული შემთხვევები, რომანელებსა და გერმანელებთან ის საერთოდ არ არის, და მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში, ბრიტანელ კელტებთან (შოტლანდიელებთან, ირლანდიელებსა და ბრეტონელებთან) ჩნდება.

რიტმული თვალსაზრისით, რუსული სიმღერა ასევე არსებითად განსხვავდება არა მხოლოდ რომანულ-გერმანულიაგან, თუნდაც, მაგ., სამნაწილიანი რიტმების სრული არარსებობით (ვალსის ან მაზურკის რიტმი). რუსულ სიმღერას აზიისგან ის გამოყოფს, რომ აზიელთა უმრავლესობა უნისონში მღერის. მაგრამ რუსული სიმღერა, ამ მიმართებით, გარდამავალი რგოლია: რუსული გუნდი პოლიფონიურია, უნისონური სიმღერებიც ბევრია, ხოლო სიმღერის წამომწყები საგუნდო სიმღერების გარკვეულ კატეგორიებში აუცილებელიცაა.

ასეთ თავისებურებას ავლენს რიტმული ხელოვნების მეორე სახეობაც - ცეკვები. რომანულ-გერმანული ცეკვები გამოირჩევა წყვილის - კავალერისა და ქალის - აუცილებელი არსებობით, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ერთდროულად ცეკვავენ, რაც მათ საშუალებას აძლევს, მხოლოდ ფეხით იმოძრაონ რიტმულად. კავალრებისა და ქალბატონების ეს მოძრაობები (პა) ერთნაირია. რუსულ ცეკვებში მსგავსი არაფერია. წყვილი აუცილებელი არ არის იქაც კი, სადაც ორი ცეკვავს, ეს ორი არ მიეკუთვნება უსათუოდ განსხვავებულ სქესს. მათ შეუძლიათ იცეკვონ არა ერთდროულად, არამედ რიგრიგობით, ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთისათვის ხელის ჩაკიდება სავალდებულო არ არის. ამის წყალობით, ისინი რიტმულად მოძრაობენ არა მხოლოდ ფეხით, არამედ - ხელით და მხრითაც.

კაცის ფეხის მოძრაობა განსხვავდება ქალების მოძრაობისაგან და ხასიათდება ქუსლებისა და თითების მოძრაობათა მონაცვლეობით. შესამჩნევია სწრაფვა თავის უმოძრაობისკენ, განსაკუთრებით - ქალებში. კაცების მოძრაობა წინასწარგანუსაზღვრელია და განსაზღვრული რიტმის ჩარჩოებში იმპროვიზაციის დიდ სივრცეს იძლევა.

ქალის მოძრაობა სტილიზებულ სიარულს გულისხმობს. საცეკვაო მოტივი მოკლე მუსიკალური ფრაზაა, რომლის რიტმიც საკმარისად გამოკვეთილია, მაგრამ იძლევა ვარიაციული დამუშავების ფართო შესაძლებლობებს. ყველა ეს თავისებურება გვხვდება აღმოსავლეთ ფინელებთან, თურქებთან, მონღოლებთან, კავკასიელებთან (სხვათა შორის, ჩრდილო კავკასიურ საწყვილო ცეკვებს მოცეკვავეები ხელიხელჩაკიდებულნი ასრულებენ) და ბევრ სხვა „აზიატთან“[\*6].

რომანულ-გერმანული ცეკვებისაგან განსხვავებით, რომლებშიც კავალერი მუდმივად ეხება ქალბატონს, თვითონ ცეკვის ტექნიკური ხერხების სიმწირის გამო, და ეს ცეკვას განსაკუთრებულ სექსუალურ ელემენტს სძენს, რუსულ-აზიური ცეკვები უმალ შეჯიბრია სიმარდესა და სხეულის რიტმულ დისციპლინაში. მაყურებელთა მონაწილეობა, ინსტინქტური ბაკუნი, სტვენა და წამომახილები კიდევ უფრო ამაღლებს რიტმულ პათოსს. ევროპაში მხოლოდ ესპანელებმა იციან ამის მსგავსი რამ, მაგრამ, ალბათ, ეს აიხსნება მათზე აღმოსავლეთის (მავრიტანული და ბოშური) გავლენით. რაც შეეხება სლავებს, ქორეოგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისით, ისინი არ ერწყმიან რუსეთს; მხოლოდ ბულგარული рченица წარმოქმნის მეტნაკლებ რუსულ-აზიურ ტიპს, უეჭველად, აღმოსავლური გავლენით.

ორნამენტის სფეროში (ჩუქურთმა, ქარგვა) ველიკორუსულ ხალხურ კულტურას აქვს თავისი დამოუკიდებელი სტილი, რომელიც მალოროსების საშუალებით უკავშირდება ბალკანელებს, ხოლო უგრო-ფინების მეშვეობით - აღმოსავლეთს. ამ დარგს ახასიათებდა, როგორც ჩანს, საკმარისად რთული ჯვარედინი გავლენები, რომლებიც მეცნიერულად ჯერ ისევ საკვლევეია.

სამწუხაროდ, მეცნიერება ორნამენტზე ჯერ ისევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია; მან ვერ გამოიმუშავა კლასიფიკაციის რამდენადმე მიზანმიმართული ხერხი, რომლებიც ნებას მოგვცემდა, დაგვედგინა სხვადასხვა ორნამენტის ობიექტური ურთიერთნათესაობა. ამიტომ, შეუძლებელია განვსაზღვროთ, კერძოდ, რით განსხვავდება რუსული ორნამენტი დასავლურ-სლავურისა და რომანულ-გერმანულისაგან, არადა, ეს განსხვავება საკმაოდ აშკარად იგრძნობა.

ხალხური სიტყვიერების სფეროში ველიკორუსები სრულიად ორიგინალურები არიან. რუსული ზღაპრის სტილს არ ეძებნება პარალელები არც რომანულ-გერმანელებთან, არც სლავებთან, სამაგიეროდ, ვპოულობთ ანალოგიას თურქებსა და კავკასიელებთან. სტილის თვალსაზრისით, აღმოსავლურ-ფინური ზღაპრები მთლიანად რუსულ გავლენას განიცდის. რუსული ეპოსი თავისი სიუჟეტებით დაკავშირებულია თურანულ აღმოსავლეთთანაც და ბიზანტიასთანაც, ნაწილობრივ კი - რომანულ-გერმანულ სამყაროსთან. მაგრამ ფორმით ის სრულიად ორიგინალურია, ყოველ შემთხვევაში, არ ჩანს რომელიმე დასავლური თავისებურება. ფორმალური თვალსაზრისით, შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ძალზე სუსტი კავშირი ბალკანეთის სლავობასთან და საკმაოდ ძლიერი - სტეპის ურდოულ ეპოსთან.

რუსი ხალხის მატერიალურ კულტურაზე შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ სტეპის მომთაბარეთა კულტურისაგან ის, ბუნებრივია, ძალიან განსხვავდება და უფრო დასავლურ და სამხრეთსლავურ კულტურებს უკავშირდება, მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია: მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, ფინელ ხალხთა უმრავლესობა (მოხეტიალეთა და მომთაბარეთა გარდა), ველიკორუსებთან ერთად, თითქოს ერთი მთლიანობაა. სამწუხაროდ, დეტალური ეთნოგრაფიული გამოკვლევები რუსული ხალხური მატერიალური ყოფის ცალკეულ საკითხებზე დღემდე ძალიან ცოტა იყო. ჭარბობს დილექტანტური ნაშრომები. ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ფინელი



უცხოტომელთა მატერიალური კულტურა, განსაკუთრებით, ფინელ ეთნოგრაფთა ნაშრომების წყალობით, გაცილებით უკეთაა შესწავლილი.

უგრო-ფინური და აღმოსავლურ-სლავური ელემენტების როლი კულტურის იმ ტიპის შექმნაში, რომელსაც შეიძლება უგრო-ფინური ვუწოდოთ, ბოლომდე გარკვეული არ არის. ვარაუდობენ, რომ თევზჭერის ტექნიკას ყველაზე მეტად უგრო-ფინელები დაეუფლნენ, ხოლო საცხოვრებლის მშენებლობის დარგში აღმოსავლელი სლავები დაწინაურდნენ. რუსულ-ფინურ კოსტიუმში არის რამდენიმე საერთო თავისებურება (ქალამნები, გვერდზე ჩაჭრილი საყელო, ქალის თავსაბურავი), რომლებიც უცნობია რომანულ-გერმანელებისა და სლავებისათვის (ქალამნები ლიტველებს აქვთ). მაგრამ ყველა ამ ელემენტის წარმომავლობა დღემდე შეუძლებელია გარკვეულად ჩაითვალოს.

ამგვარად, ეთნოგრაფიული მიმართებით, რუსი ხალხი არ მიიჩნევა სლავობის განსაკუთრებულ წარმომადგენლად. რუსები, უგრო-ფინელებსა და ვოლგისპირეთის თურქებთან ერთად, განსაკუთრებული კულტურული ზონაა, რომელიც უკავშირდება სლავობასა და თურანულ აღმოსავლეთს; ამის გამო, ძნელი სათქმელია, რომელია ამ კავშირთაგან უფრო მტკიცე და ძლიერი.

რუსების კავშირი თურანელებთან განმტკიცებულია არა მხოლოდ ეთნოგრაფიულად, არამედ ანთროპოლოგიურადაც. რუსულ ძარღვებში, უთუოდ, სლავურ და უგროფინურ სისხლთან ერთად, თურქული სისხლიც ჩქეფს. რუსთა ხალხურ ხასიათში, რა თქმა უნდა, შეინიშნება შეხების ერთგვარი წერტილები თურანულ აღმოსავლეთთან.

ის ძმობა და ურთიერთგაგება, რომელიც ასე იოლად მყარდება ჩვენსა და ამ აზიატებს შორის, დაფუძნებულია რასობრივი სიმკაათის ამ უხილავ ძაფებზე. რუსული ნაციონალური ხასიათი, თუმცა, საკმაოდ ძლიერ განსხვავდება უგრო-ფინურის, ისე თურქულისაგან, მაგრამ, ამავე დროს, არაფრით ჰგავს სხვა სლავთა ნაციონალურ ხასიათს. საკუთარ თავისებათა მთელ რიგს, რომელსაც რუსი ხალხი განსაკუთრებულად აფასებს, ეკვივალენტი არ ეძებნება სლავურ მორალურ სახეში.

მიდრეკილება ჭკრეტისაკენ და წეს-ჩვეულებათა ერთგულება, რომლებიც ახასიათებს რუსულ ღვთისმოსაობას, ფორმალურად ემყარება ბიზანტიურ ტრადიციებს, მაგრამ სრულიად უცხოა სხვა მართლმადიდებელი სლავებისათვის და რუსეთს უმაღლეს არამართლმადიდებლურ აღმოსავლეთს უკავშირებს. წრეგადასული სითამამე, რომელსაც რუსი ხალხი თავის გმირებს უქეფს, წმინდა სტეპური სიქველეა, თურქებისთვის გასაგები, მაგრამ გაუგებარი - რომანულ-გერმანელთა და სლავთათვის.

რუსული ხალხური სტიქიის ფსიქოლოგიური და ეთნოგრაფიული თავისებურება უნდა გაითვალისწინონ ყოველგვარი ახალი რუსული კულტურის შენების დროს. ეს სტიქია ხომ მოწოდებულია, იყოს ქვედა სართული რუსული კულტურის შენობისა, და მის განსამტკიცებლად საჭიროა, შენობის ზედა სართულიც შეესატყვისებოდეს ქვედას, რათა ზედა და ქვედა დონეები პრინციპულად არ დაშორდეს ერთმანეთს.

სანამ რუსული კულტურის შენობა ბიზანტიური გუმბათით გვირგვინდებოდა, შენობა მყარად იდგა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გუმბათი შეიცვალა რომანულ-გერმანული კონსტრუქციის ზედა სართულით, ყოველგვარი მდგრადობა და შენობის ნაწილთა თანაზომადობა დაირღვა, წვერი სულ უფრო და უფრო მეტად გადაიხარა და ბოლოს ჩამოინგრა, ჩვენ კი, რუსი ინტელიგენტები, რომლებმაც ამდენი შრომა და ძალა დავხარჯეთ, რათა რუსულ კედლებზე ჩამოშლილი, მათ მოურგებელი რომანულ-გერმანული სახურავი არ ჩამოქცეულიყო, განცვიფრებულნი ვდგავართ ამ გიგანტური ნაშალის წინ და კვლავაც იმაზე ვფიქრობთ, როგორ აღვადგინოთ სახურავი იმავე რომანულ-გერმანული ნიმუშის მიხედვით.

ეს გეგმები ხელაღებით უნდა უკუვაგდოთ. რუსულ ნიადაგზე მტკიცედ დამკვიდრებისათვის რუსული კულტურის ზედა სფერო მაინც არ უნდა იყოს სპეციფიკურად რომანულ-გერმანული. ბიზანტიური ტრადიციების დაბრუნება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

თუმცა, ერთადერთი მხარე რუსული ცხოვრებისა, რუსული კულტურის ის ნაწილი, რომელშიც ბიზანტიური ტრადიციები „ევროპეიზაციის“ გამო სრულად არ განდევნილა -

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია - განსაცვიფრებლად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და საერთო მარცხისას არა მხოლოდ არ დაცემულა, არამედ კვლავაც ძველებურად გამოიყურება; ის კვლავაც ბიზანტიისაგან შემკვიდრეობით მიღებული ნიმუშის მსგავსია. მომავალში რუსული კულტურის ბიზანტიური ელემენტი, სწორედ საეკლესიო ტრადიციის გამო, შესაძლოა, გაძლიერდეს კიდევ. მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ რუსული ცხოვრება ძველ ბიზანტიურ საწყისებზე სრულად გადაეწყობა, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპეიზაციის ორნახევარ საუკუნეს რუსეთისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია, არამედ იმიტომაც, რომ XVII საუკუნეშიც კი, როცა პატრიარქმა ნიკონმა გადაწყვიტა რუსული ცხოვრების ბიზანტიური ელემენტის გაძლიერება და რუსული ღვთისმსახურების ბიზანტიური ნიმუშისათვის დაახლოება, ეს ნიმუში რუსი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე რაღაც უცხოდ მიიჩნია, რამაც განხეთქილება გამოიწვია. მოგვიანებით, იმავე განხეთქილებამ თავისი პროტესტი ევროპეიზაციის წინააღმდეგ მიმართა. რუსული განხეთქილება იმ დროიდან ასახიერებს რუსული ხალხური სტიქიის სწრაფვას თვითმყობადი კულტურისაკენ, რომელიც, შეიძლება, მცდარი გზით წარიმართა და თავიდანვე გაიწირა წარუმატებლობისათვის, რადგან მხოლოდ ქვედაფენის კუთვნილებაა და არა - კულტურული ზედაფენისა. მაგრამ ამ განხეთქილებაში მაინც იგრძნობა რუსული სტიქიის ჯანსაღი ნაციონალური ინსტინქტი, რომელიც პროტესტს უცხადებს მასზე ხელოვნურად დამყარებულ უცხო კულტურულ ზედაფენას. ამიტომაცაა აგრერიგად აღსანიშნავი, რომ ემელიანე პუგაჩოვი, რომელიც „ბილწი ლათინებისა და ლუთერელობის“ უარყოფელ ძველმოწესეობას უჭერდა მხარს, ვერაფერს ხედავდა სამრახისს იმაში, რომ ბაშკირებს - არა მხოლოდ არასლავებს, არამედ უცხო სარწმუნოების თურანულ აღმოსავლეთსაც - დაუკავშირდა.

რუსული ხალხური სტიქიის ამ ქვეცნობიერ სიმპათიასა და ანტიპათიაში უნდა განვჭვრიტოთ მითითებები რუსული კულტურის შენობის ასაგებად. ჩვენ ვაღიარებთ აღმოსავლურ მართლმადიდებლობას, და ამ მართლმადიდებლობამ, რომელიც ზემოქმედებს რუსული ცხოვრების ბევრ მხარეზე, ნაციონალურ ფსიქიკურ თავისებურებათა მსგავსად, ჩვენს კულტურაში მოწინავე მდგომარეობა უნდა დაიკავოს.

რწმენასთან ერთად, ბიზანტიისაგან მივიღეთ ბევრი კულტურული ტრადიცია, რომლებიც შემოქმედებითად განვითარდა და ჩვენსას, რუსულს შეეთვისა.

მუშაობა ამ მიმართულებით რომ გარძელებს კიდევ, საქმე ამით არ ამოიწურება. შეუძლებელია, ყველაფერი ბიზანტიურ ჩარჩოში მოვაქციოთ. ჩვენ ვართ რუსები და არა - ბიზანტიელები, და იმისათვის, რომ რუსული კულტურა სავსებით „ჩვენი“ იყოს, აუცილებელია, ის უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდეს რუსული ხალხური სტიქიის გამორჩეულ ფსიქოლოგიურ და ეთნოგრაფიულ სახეს. სწორედ აქ უნდა ვიგულისხმოთ ამ იერსახის განსაკუთრებული თვისებები. ბევრს ვლავარაკობდით იმაზე, რომ რუსეთის ისტორიული მისია ჩვენი სლავი „ძმების“ გაერთიანებას გულისხმობს. ამასთან, ჩვეულებრივ, ვივიწყებდით, რომ ჩვენი „ძმები“ (თუ ენითა და სარწმუნოებით არა, სისხლით, ხასიათითა და კულტურით) არა მხოლოდ სლავები, არამედ თურანელებიც არიან, და რომ, ფაქტობრივად, რუსეთმა თავისი სახელმწიფოებრიობის საფარველქვეშ უკვე გააერთიანა თურანული აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ დრომდე „უცხოტომელთა“ ქრისტიანიზაციის ცდა წარუმატებლად დასრულდა. შესაბამისად, იმისათვის, რომ რუსული კულტურის ზედა ფენები შეესაბამებოდნენ რუსული სტიქიის ეთნოგრაფიული ზონის განსაკუთრებულ მდგომარეობას, აუცილებელია, რუსული კულტურა არ კმარობდეს აღმოსავლურ მართლმადიდებლობას, არამედ თავისი ძირითადი ხალხური სტიქიის ნიშან-თვისებებსაც ავლენდეს, რომელთაც შეუძლიათ ერთ კულტურულ მთლიანობად შეკრან სხადასხვა ეროვნების ტომები, ისტორიულად დაკავშირებულნი რუსი ხალხის ბედთან.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, ქალამნები ან ხუთი ტონისაგან შემდგარი გამა დაუყოვნებლივ რუსული კულტურის ზედაფენის განუყოფელ კუთვნილებად იქცეს. ახალი რუსული კულტურის კონკრეტულ ფორმათა კარნახი და ვარაუდი საერთოდ შეუძლებელია.

მაგრამ მაინც ზედაფენის განსხვავება ქვედაფენისაგან უნდა განისაზღვროს არა ორი განსხვავებული ეთნოგრაფიული ზონისაკენ მისწრაფებით, არამედ - ერთიანი კულტურის ელემენტთა კულტურული დამუშავებისა და დეტალიზაციის ხარისხით. რუსული კულტურა, კულტურული შენობის დასრულების თვალსაზრისით, ორგანულად უნდა ამოიზარდოს რუსული სტიქიის საფუძვლიდან.

### **შენიშვნები**

[\*1] ბალტიურ ენებს უწოდებენ ერთმანეთის მონათესავე ლიტვურ, ლატვიურ და ძველპრუსიულ (XVII ს-ში გადაშენებულ) ენებს.

[\*2] იტალიურ ენებად გულისხმობენ, გარდა ლათინური ენისა, აპენინის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ რამდენიმე სხვა ენასაც, რომლებიც ახლოსაა ლათინურთან, მათგან უმთავრესია უმბრიული და ოსკსკიური.

[\*3] ჩრდილოირანული (სკვით-სარმატული) ტომები, რომლებიც ოდესღაც სამხრეთ რუსეთში ცხოვრობდნენ, საკმაოდ ადრე გაქრნენ, ნაწილობრივ, ასიმილირდნენ აღმოსავლეთ-სლავებთან, ნაწილობრივ კი, ისინი გააძევეს ან შთანთქეს თურქმა მომთაბარეებმა. ამ სკვით-სარმატების უკანასკნელი წარმომადგენლები ოსები არიან.

[\*4] მკითხველისათვის, რომელმაც არ იცის მუსიკის თეორია, მივუთითებთ, რომ ეს გამა მიიღება როიალის შავი კლავიშების შეხებით. რუსული პუბლიკისათვის ცნობილი „კულტურული“ ნაწარმოებებიდან, რომლებიც ამ გამითაა დაწერილი, შეიძლება მივუთითოთ რახმანინოვის რომანსი „იასამანი“.

[\*5] თუმცა, შესრულებისას ხდება ტრანსპონირება, რომლის შედეგადაც მიიღება ოთხი ტონისაგან შედგარი გამა. მაგ., მელოდია დაწერილია გამაში: დო, რე, მი, სოლ, ლა, მაგრამ შესრულებისას სოლ და ლას ნაცვლად იღებენ ლა ბემოლს, სოლისათვის - ერთი ოქტავით მაღლა, ვიდრე - ლასათვის.

[\*6] გარდა ზემოაღნიშნული ტიპის სოლო ცეკვებისა, რუსებისათვის ნიშანდობლივია გუნდური ცეკვის ტიპიც. ოღონდ, ეს უკანასკნელი, რუსების შესრულებით, განსხვავდება სლავების, რომანელ-გერმანელთა და ზოგიერთი აღმოსავლელი ხალხის ცეკვისაგან. მკაცრად რომ ვთქვათ, რუსული ჯგუფური ცეკვა არ არის ცეკვა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, რადგან არანაირ „პას“ ჯგუფური მოცეკვავეები არ ასრულებენ, ფეხის მუსიკის ტაქტისათვის აყოლებაც კი არ არის აუცილებელი. ეს უფრო თამაშის ან საწესჩვეულებო ქმედების სახეა, რომელშიც მთავარ როლს გუნდური სიმღერა ასრულებს.

**დაბეჭდილია კრებულში: „Исход к Востоку“, სოფია, 1921, გვ. 86-103**